ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N25

ჩოხატაური 12 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური „სხივი"-ს დირექტორი **მერაბ დოლიძის სახით** (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ი.მ. „მარინა სიხარულიძე" (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი.

1.1 საკანცელარიო საქონელი -- 53.90 ლარი
(CPV კოდი 22800000)
1.2 საკანცელარიო საქონელი -- 27.60 ლარი
(CPV კოდი 30100000)
1.3 ინფორმაციის შესანახი საშუალებები -- 29 ლარი
(CPV კოდი 30234000)
1.4 წებოვანი ლენტი ფერადი -- 3 ლარი
(CPV კოდი 44424200)

საფუძველი: სახ. შესყიდვების სააგენტოს ბრძანება N13. მუხლი 2 პუნქტის ა ქვეპუნქტი.
შესყიდვის მეთოდი: გამარტივებული შესყიდვა

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 113.50 **(ასცამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** ლარი.

მიმწოდებლისათვის მომქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2018 წლის 14 თებერვალი.**

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ჩოხატაური.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 16 მარტი.**

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს ხარვეზები რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

5.3 „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზების შესახებ.

5.4 შეტყობინების მირების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება.

6.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას აწარმოებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. კოორდინატორი ან უფლებამოსილი პირი.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების დროს უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია აუცილებელი პერსონალითა და ტექნიკური საშუალებებით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება.

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის ან დირექტორის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის, უფლებამოსილი პირის ან ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი ექსპერტის მიერ.

7.2 ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ყველა ხარვეზი.

7.3 მიღება ჩაბარების აქტთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშ სწორებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

8. ანგარიშწორების ფორმები, გრაფიკი, ვადები.

8.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.

8.2 ანგარიშწორების ფორმა უნაღდო.

8.3 წინასწარი საავანსო ანგარიშწორება მოხდება წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა უმეტეს -- 50% ოდენობით.

8.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბაკო გარანტიის ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.

8.5 ანგარიშწორება შეიძლება განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად. მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 30 კალენდარული დღის ვადაში.

9. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების ჯგუფის ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორიელოს კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე: -საქართველოს კანონის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

9.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს „შემსყიდველის"-აგან მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

10.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული კალენდარული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,2% ოდენობით.

10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%..

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის აუცილებლობა.

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით ფორმით, მხარეთ შეთანხმების საფუძველზე.

11.2 ხელშეკრულების პირობების და ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებით იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

11.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს მაჟორი.

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე. თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც წყალდიდობაა,ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული სისტემის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დავები და აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმებების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებმა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი" ---------- მ. დოლიძე

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
კომუნალური სამსახური „სხივი"
საინდ/კოდი 242008796

„მიმწოდებელი"---------- მ.სიხარულიძე

ი.მ „მარინა სიხარულიძე"
საინ/კოდ 46001011716
მის: ჩოხატაური
ს.ს „ლიბერთი ბანკი"
ანგ: GE51LB 011 214 782 515 2000

მიღება-ჩაბარების აქტი №17

ჩოხატაური *12 თებერვალი 2018 წელი*

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური „სხივი" შემდგომში **შემსყიდველი** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მერაბ დოლიძის** სახით და მეორეს მხრივ ი/მ **მარინა სიხარულიძე** შემდგომში **მიმწოდებელი**

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 12 თებერვლის №25 ხელშეკრულების საფუძველზე **შემსყიდველმა** მიიღო ხილო **მიმწოდებელმა** მას მიაწოდა მიმწოდებლის მიერ გამოწერილ სასაქონლო ზედნადებში (ელ-0358665599) აღნიშნული საქონელი.

მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება შეადგენს 113.50 (ასცამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი).

ჩააბარა:

1. ი/მ მარინა სიხარულიძე; ----------

მიიღო:

2. „სხივის" დირექტორი: მ. დოლიძე